



**ბიზნესის სამართლის სტუდენტური შეჯიბრი:
იმიტირებულ სასამართლო პროცესები**

2017

შეჯიბრის საქმე

1. შპს “ოხშივარი” არის საქართველოს ბალნეოლოგიური ჰოლდინგის სს “ზიგ ეგო”-ს შვილობილი კომპანია. შპს “ოხშივარის” საკუთრებაშია მთელს დედაქალაქში არსებული რვა თერმული აბანოდან ერთ-ერთი, რომელიც მინერალებით მდიდარი და ბუნებრივად ცხელი წყლის აბაზანებით იზიდავს უამრავ მომხმარებელს წლის ნებისმიერ დროს.
2. სს “ზიგ ეგო” ერთ-ერთი უმსხვილესი საინვესტიციო ჯგუფია საქართველოში, დივერსიფიცირებული პორტფელით, როგორც სექტორების (აგრო, ენერჯო, სამედიცინო, სატელეკომუნიკაციო, ა.შ.), ასევე, იურისდიქციების (უკრაინა, აზერბაიჯანი, თურქეთი, რუსეთი, ა.შ.) მიხედვით.
3. სს „ჭავლი“ წარმოადგენს წყლის მიმწოდებელ კომპანიას. სს “ჭავლის” სისტემაში აბონენტად აღრიცხულია შპს „ოხშივარი“. მას ბაზარზე უკავია მონოპოლიური მდგომარეობა და თავის ფუნქციებს ახორციელებს სემეკის მიერ გაცემული წყალმომარაგების ლიცენზიის შესაბამისად.
4. სს „ჭავლი“ და შპს „ოხშივარი“ ერთმანეთთან სახელშეკრულებო ურთიერთობებში იმყოფებიან, ამ უკანასკნელს სასმელი წყლის მიწოდების სისტემაზე დამონტაჟებული აქვს წყლის მრიცხველი და მოხმარებული სასმელი წყლის ხარჯს სს “ჭავლი” არიცხავს შპს “ოხშივარს” მრიცხველის ჩვენების მიხედვით. აღნიშნულ გადასახადს ასევე ემატება საკანალიზაციო მომსახურების ტარიფი, ქვემოთ აღნიშნული პირობების გათვალისწინებით.
5. კერძოდ, შპს “ოხშივარის” აბანო მოიხმარს რამდენიმე ათეულ მეტრში არსებული არტეზიული ჭიდან თვითდინებით ამომავალ მინერალურ თერმულ წყალს, რომელსაც მოსახლეობამ თავისი თვისებების გამო “მყრალია მარა კაია” უწოდა. “მყრალია მარა კაიას” გადინება ხორციელდება სს “ჭავლის” კუთვნილი საკანალიზაციო (წყალარინების) ქსელით.
6. მინერალურ თერმულ წყალს მწყობრიდან გამოჰყავს მრიცხველი, შესაბამისად, შეუძლებელი იყო არტეზიული ჭიდან მოპოვებული და მოხმარებული მინერალური თერმული წყლის რაოდენობის / მოცულობის მრიცხველით აღრიცხვა, რის გამოც, 2016 წლის მარტამდე რვავე აბანოს, მათ შორის, არტეზიული ჭიდან შპს „ოხშივარის“ მოპოვებულ და მოხმარებულ მინერალურ თერმულ წყალზე გადასახადი ერიცხებოდა გარკვეული ნორმით. 2016 წლის მარტამდე შპს „ოხშივარისა“ და შპს „ჭავლის“ ხელმძღვანელობას შორის მიღწეული იყო შესაბამისი ზეპირი შეთანხმება (მხარეებს არ ჰქონდათ განსაზღვრული ამ შეთანხმების მოქმედების ვადა), რომლის თანახმადაც, შპს „ოხშივარი“, აბანოების მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე წყალარინების მომსახურებისათვის შპს „ჭავლის“ უხდიდა ფიქსირებულ ტარიფს.



7. 2016 წლის იანვარში სახელმწიფოს შესაბამისი უწყების, სს “ჭავჭავაძის” და რვავე აბანოს მესაკუთრე და ოპერატორი კომპანიების მიერ შექმნილმა ერთობლივმა კომისიამ განხორციელებული კვლევისა და დაკვირვების შედეგად დაადგინა, რომ აბანოები რეალურად მოიხმარდნენ იმაზე მეტი რაოდენობის მინერალურ თერმულ წყალს, ვიდრე მათ ერიცხებოდათ სს “ჭავჭავაძის” მრიცხველის ჩვენების გათვალისწინებით.
8. იგივე კომისიამ დაადგინა, რომ ტექნოლოგიურად შეუძლებელია მინერალური თერმული წყლების ამოტუმბვის პროცესის შეჩერება. კომისიის დასკვნის მიხედვით ასეთი აგრესიული ბუნების გამო, 24 საათის განმავლობაში აბანოებში მინერალური თერმული წყლის მოხმარების წილის მიუხედავად, ჭაბურღილიდან ამოქაჩული “მყარია მარა კაიას” სრული მოცულობა აბანოებში მოხმარების გარეშე ჩადინება საკანალიზაციო ქსელში. კომისიამ თავის დასკვნაში აღრიცხა დაკვირვების რამდენიმე დღიან პერიოდში თითოეული აბანოს მიერ მოხმარებული და, აგრეთვე, აბანოში მოხმარების გარეშე ქსელში ავტომატურად ჩაღვრილი მინერალური თერმული წყლის ჯამური მოცულობა და გამოიყვანა მისი ყოველდღიური და ყოველთვიური საშუალო მოცულობა. აღნიშნული გათვლის მიხედვით შპს “ოხშივარის” აბანოს მიერ მოპოვებული და საკანალიზაციო ქსელში ჩაღვრილი მინერალური თერმული წყლის მოცულობა შეადგენს 10000 კუბურ მეტრს.
9. კომისიის დასკვნის საფუძველზე სს “ჭავჭავაძის” გამოითვალა და კანონმდებლობით დადგენილი ფორმალობების დაცვით დაარიცხა თითოეულ აბანოს ოპერატორ კომპანიას შესაბამისი ყოველთვიური ხარჯი, წყალარინების ზედა ზღვრული ტარიფის, 0,84488 ლარი (დღგ-ს ჩათვლით)/მეტრ კუბი, საფუძველზე. აღნიშნული ტარიფის გამოყენების თაობაზე სს “ჭავჭავაძის” და შპს “ოხშივარს” შორის ცალკე მომსახურების შესახებ ხელშეკრულება არ გაფორმებულა.
10. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 17 აგვისტოს N17 დადგენილებით, არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლისათვის განსაზღვრულია წყალარინების მხოლოდ ზედა ზღვრული ტარიფი 0,84488 ლარი (დღგს ჩათვლით) / კუბური მეტრი, ხოლო მინიმალური ზღვარი, კონკრეტული მომხმარებლის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მხარეთა მოლაპარაკების საგნად არის დატოვებული. აღნიშნული რეგულირების ფარგლებში კონკრეტულ ლიცენზიატს, ამ შემთხვევაში შპს „ჭავჭავაძის“, გააჩნია უფლებამოსილება ცალკეული ტიპის მომხმარებელს დაუდგინოს ზვრულ ტარიფზე უფრო ნაკლები განაკვეთი.
11. 2010 წლიდან დღემდე შპს „ოხშივარი“ შპს „ჭავჭავაძის“ მიმართ წყალარინების მომსახურების გადახდას ახორციელებს უმრიცხველო დარიცხვის გზით.
12. 2016 წლის იანვარში, კომისიის დასკვნის გამოქვეყნებისთანავე სს „ჭავჭავაძის“ უარი თქვა მანამდე არსებულ უმრიცხველო დარიცხვის პრინციპით გაანგარიშებულ მომსახურების ღირებულების მიღებაზე და რვავე აბანოს კომპანიას, მათ შორის შპს „ოხშივარს“, კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით გაუგზავნა წერილობითი შეტყობინება სადაც მიუთითა, რომ 2016 წლის 1 მარტიდან მათთვის მომსახურების



ღირებულების ანაზღაურება საკანალიზაციო ქსელში ჩაღვრილი მინერალური თერმული წყლის ოდენობის გათვალისწინებით განხორციელდებოდა, ყოველთვიურად, 10 000 კუბურ მეტრზე 8448.8 ლარის ოდენობით.

13. შპს „ოხშივარმა“ 2016 წლის 1 აპრილს გაუგზავნა პასუხი სს „ჭავჭავაძის“, სადაც აღნიშნა, რომ იგი არ ეთანხმება საკანალიზაციო ქსელის მომსახურების დარიცხვას ჩაღვრილი წყლის ოდენობის გათვალისწინებით და სს „ჭავჭავაძის“, როგორც ბაზარზე მონოპოლისტ კომპანიას, მოსთხოვა მასთან ხელშეკრულების დადება, ორივე მხარის ინტერესის გათვალისწინებით. ამავე წერილში შპს „ოხშივარი“ მიუთითებს, რომ აქამდე შეთამაშებული გადასახადის ოდენობის ამგვარი ზრდა აიძულებს შპს „ოხშივარს“ დაკეტოს აბანო, ვინაიდან გაზრდილი ხარჯის გამო მომხმარებლებისათვის გაზრდილი გადასახადის საფუძველზე იგი აუცილებლად დაკარგავს კლიენტებს და მის სამეწარმეო საქმიანობას არარენტაბელურად აქცევს.
14. 2016 წლის მაისში შპს „ოხშივარის“ პრეს სამსახურმა გაავრცელა პრესრილიზი სადაც მითითებულია, რომ სს „ჭავჭავაძის“ მიერ დადგენილი ახალი ტარიფი რეალურად სულ მცირე რვაჯერ აღემატება აქამდე არსებულს, და აბანოს მიერ გენერირებული ერთობლივი შემოსავლის (ბრუნვის) სულ მცირე 40%-ს შეადგენს. პრეს რილიზის მიხედვით, კომპანიამ ჩაატარა წინასწარი კვლევა რომელიც მომხმარებელთა მნიშვნელოვან (20%-ზე მეტით) შემცირებას პროგნოზირებს, მომხმარებლებისათვის ტარიფის 10%-ზე მეტით გაზრდის პირობებში, შესაბამისად, აბანოს მიერ მომხმარებლებისათვის ტარიფის პროპორციული გაზრდა შპს „ოხშივარს“ მიზანშეწონილად არ მიაჩნია. პრესრილიზში ასევე ნათქვამია, რომ ექსპერტები მიიჩნევენ, რომ გრძელვადიანი გამოსავალი იქნება აბანოების უბანში ახალი საკანალიზაციო სპეციალური ქსელის მონტაჟი შესაბამისი ფილტრაციისა და გაყვანილობის სისტემებით, რაც საჭიროებს სულ მცირე 12 თვიან ინტენსიურ სამუშაოებს და მოითხოვს უბანში მწვანე და ასფალტის საფარველის დემონტაჟს სამუშაოების განხორციელების მთლიანი ხანგრძლივობით. ყველაფერი ეს დიდ ხარჯებთან, სპეციალურ ნებართვებთან და სხვა სირთულეებთან არის დაკავშირებით, რაც მნიშვნელოვნად აღემატება აბანოს ოპერატორი კომპანიების ფინანსურ შესაძლებლობებს.
15. აღნიშნული პასუხის შემდეგ და მის მიუხედავად სს „ჭავჭავაძის“ ყოველთვიურად ატყობინებს შპს „ოხშივარს“ რომ იგი ვალდებულია გადაიხადოს გაზრდილი ტარიფი. სს „ჭავჭავაძის“ ასევე ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ტარიფი, რომლის გათვალისწინებითაც იგი გოგირდის აბანოებს გადასახადს არიცხავს, არ არის განსხვავებული, არამედ არის იგივე, რაც ერიცხება დედაქალაქის მასშტაბით ყველა არასაყოფაცხოვრებო აბონენტს, მათ შორის (და არამხოლოდ) ჯანდაცვისა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს და სხვა საბიუჯეტო თუ არასაბიუჯეტო ორგანიზაციებს. სს „ჭავჭავაძის“ აგრეთვე უთითებს, რომ „სემეკის 2008 წლის 26 ნოემბრის N32 დადგენილებით დამტკიცებული სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების





წესების“ თანახმად შესაბამისი კომუნალური მომსახურების ხარჯის აღმნიშვნელ ქვითარში მითითებული გადახდის ვადის გასვლის შემდეგ, დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, ის უფლებამოსილია შეუწყვიტოს შპს “ოხშივარს” მომსახურება. აღსანიშნავია, რომ დღემდე მომსახურების მიწოდება სს “ჭავლს” არ შეუწყვეტია არცერთი აბანოსათვის.

16. 2017 წლის მაისში სს “ზიგ ეგოს” ერთ-ერთ შვილობილ კომპანიას სს “ჰეჯფანდური” გრძელვადიანი სესხის მიღების მიზნით მიმართა სს “ჭავლმა”. სს “ჰეჯფანდურის” წარმომადგენლებმა პირველადი ინფორმაციის გამოთხოვისა და ანალიზის შემდეგ გაარკვიეს, რომ სს “ჭავლს” სესხის სახით დაფინანსების მოზიდვა სურდათ ახალი პროექტის განსახორციელებლად თბილისში, რაც მოიცავდა მინერალური თერმული აბანოებიდან ერთ-ერთის შესყიდვასა და მოდერნიზაციას.
17. სს “ჭავლსა” და სს “ჰეჯფანდურს” შორის გაფორმდა გაუმჟღავნებლობის შესახებ ხელშეკრულება, სადაც ეწერა, რომ სს “ჭავლის” მიერ სს “ჰეჯფანდურისათვის” გადაცემული ნებისმიერი ინფორმაციაზე სს “ჰეჯფანდურს” უნდა დაეცვა გაუმჟღავნებლობის ვალდებულება (იხ. დანართი #1). სს “ჰეჯფანდურსა” და სს “ჭავლს” შორის სხვა რაიმე ხელშეკრულება დღემდე არ გაფორმებულა. შესაბამისი ინფორმაცია ბიზნეს გეგმებსა და გათვლებზე სს “ჭავლმა” სრულად მიაწოდა სს “ჰეჯფანდურის” წარმომადგენლებს ივნისში. სს “ჰეჯფანდურის” წარმომადგენლები დაპირდნენ სს “ჭავლს” რომ 15 ივლისისათვის ეტყოდნენ საბოლოო პასუხს შეძლებდნენ თუ არა სს “ჭავლის” დაფინანსებას აბანოს ყიდვისა და დაკავშირებული ბიზნეს გეგმის დაფინანსების მიზნით.
18. 2017 წლის 6 ივლისს სს “ზიგ ეგოს” დირექტორთა საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდა კომპანიის ყველა აფილირებული და შვილობილი კომპანიის ხელმძღვანელობა, განიხილეს შპს “ოხშივარის” განვითარების პერსპექტივები. მოხსენების დროს “ოხშივარის” კომერციულმა დირექტორმა ლინდა აკუპუნქტურისტამ აღნიშნა, რომ მან შეიტყო აბანოს ერთ-ერთი მექისისაგან, რომ 4 ივლისს სს “ჭავლის” გენერალური დირექტორის მოადგილე ჯოშუა პეტრისაჟი ესტუმრა აბანოს და მექისესთან სეანსის დროს ეჭორავა მას სს “ჭავლის” გეგმებზე. აკუპუნქტურისტას მონათხრომის მიხედვით პეტრისაჟი ამბობდა, რომ სულ მალე სს “ჭავლი” შეიძენდა ჯიბუტი გაფხეკილიას კუთვნილ აბანოს და დიდი სურვილი ჰქონდა რომ ეს მექისე მასთან გადასალიყო სამუშაოდ. მექისის კითხვაზე, დაახლოებით როდის აპირებდა სს “ჭავლი” აბანოს ყიდვას, ჯოშუა პეტრისაჟს უთქვამს, რომ შემოდგომისათვის დაგეგმილი ჰქონდათ ნასყიდობის დასრულება და განახლებული აბანოს გახსნა. პეტრისაჟს მექისისათვის უთხოვია ამ ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვა, რაზეც მექისე დაეთანხმა. აკუპუნქტურისტას მოხსენებაზე სს “ზიგ ეგოსა” და სს “ჰეჯფანდურის” წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ეს ინფორმაცია მათთვის ცნობილი იყო და დაავალეს შპს “ოხშივარის” პერსონალს შეესწავლა სს “ჭავლის” მიერ მოწოდებული ინფორმაცია და ჯიბუტი გაფხეკილიას აბანოს შესყიდვის რენტაბელობისათვის მოხსენების მომზადება. კრებაზე დაადასტურეს მზაობა რომ სს





- “ჰეჯვანდური” და შპს “ოხშივარის” მენეჯერები მათ ხელთ არსებულ ინფორმაციას სრულად გაუზიარებდნენ ერთმანეთს აბანოს შესყიდვის პროექტთან დაკავშირებით.
19. 2017 წლის 14 ივლისს სს “ჰეჯვანდერმა” წერილობით აცნობა სს “ჭავლს” რომ უარს ამბობდნენ აბანოს პროექტის დაფინანსებაზე.
 20. 2017 წლის 20 ივლისს ბიზნეს კურიერმა და სხვა სატელევიზიო და ბეჭდვითმა ორგანოებმა გაავრცელეს ახალი ამბავი, რომ სს “ბიგ ეგო” აფართოებს აბანოების ბიზნესს და რომ ჯიბუტი გაფხეკილიამ და შპს “ოხშივარმა” გააფორმეს აბანოს წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება.
 21. სს “ჭავლმა” მიიღო წერილობითი შეტყობინება ჯიბუტი გაფხეკილიასაგან, რომ იგი აღარ აპირებდა მათთან მოლაპარაკების გაგრძელებას აბანოს ნასყიდობასთან დაკავშირებით.
 22. 2017 წლის ივლისის ბოლოს ე.წ. whistleblower საიტზე, რომლის სერვერები მალტაშია განთავსებული, www.gagshipra.mt, გამოქვეყნდა 2017 წლის 6 ივლისის სს “ბიგ ეგოს” დირექტორთა საბჭოს გაფართოებული სხდომის აუდიო ჩანაწერი და წერილობითი ოქმი. სს “ბიგ ეგოს” წარმომადგენლებმა არც უარყვეს და არც დაადასტურეს ამ ჩანაწერის ავთენტურობა. აღნიშნულ საიტზე ხშირად გამოქვეყნებულა სხვადასხვა კორპორაციისა თუ სახელმწიფოს ორგანოების არაკეთილსინდისიერ მოქმედებებზე მასალა. ცნობილია, რომ აღნიშნულ საიტზე განთავსებულ აუდიო ჩანაწერების, ის ნაწილი, რომელსაც ამა თუ იმ მხარის მოთხოვნით ექსპერტიზა ჩაუტარდა, აღიარებული იყო ავთენტურად. შესაბამისად, საიტზე გავრცელებული ინფორმაცია მედიასა და საზოგადოებაში მაღალი ნდობით სარგებლობს. ასევე ცნობილია, რომ საქართველოს სასამართლოებს დღემდე არ განუხილავთ რაიმე საქმე, სადაც აღნიშნული საიტიდან მოპოვებული მასალები მტკიცებულებად იყო გამოყენებული.
 23. 2017 წლის აგვისტოში სს “ჭავლის” ტოპ მენეჯმენტმა, მათ შორის ჯოშუა პეტრისაჟმა, ჩაატარა არაერთი პრესკონფერენცია სადაც ერთი და იგივე გზავნილი ისმოდა საზოგადოების მისამართით: “ამ მონსტრი ‘ბიგ ეგოს’ ეგოისტი მენეჯმენტი და მთელი ჯგუფი, ცივისსხლიანი კაპიტალისტები არიან, არც ეთიკის ნორმები იციან და საწყალ ბიზნესმენებს და მომხმარებლებს სულ ატყუებენ. ჩვენ მათთან კონკრეტული ბიზნეს იდეით მივედით, ძლივს დავითანხმეთ ერთი მეწარმე რომ თავისი აბანოს აქტივები გაეყიდა და ამათ კიდევ ჩვეულებრივი პერეხვატი გაგვიკეთეს. ამათნაირი კომპანიების არსებობა ან მკაცრად უნდა დარეგულირდეს ან საერთოდ აიკრძალოს.”
 24. სს “ბიგ ეგოს”, შპს “ოხშივარის” და სს “ჰეჯვანდურის” ერთობლივ პრესკონფერენციაზე, 22 აგვისტოს ლინდა აკუპუნქტურისტამ განაცხადა, რომ სს “ჭავლს” არაფერი აქვს სათქმელი სხვების ეთიკურობაზე, როცა მათი ამერიკელი მენეჯერი, რომელიც მათი აბანოს რეგულარული სტუმარია, მექისეს თვითონ ეჭორავა და მოუყვა სს “ჭავლის” განზრახვის შესახებ. იგივე პრესკონფერენციაზე სს “ჭავლის” მისამართით ჰოლდინგისა და ჯგუფის წარმომადგენლებმა არაერთი კრიტიკული გამონათქვამი გააჟღერეს, მათ შორის საზოგადოებას დაამახსოვრდა აკუპუნქტურისტას გამონათქვამი: “სიამოვნებით დავეთანხმებით სს ‘ჭავლის’ დადგენილ მტაცებლურ ტარიფს თუ



მოგვცემენ ნებას ჭავლით მივუშვათ მათ მენეჯერებს აბანოს სრულიად საკანალიზაციო სისტემიდან გამდინარე მასებიო”.

25. თბილისის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა სს “ჭავჭავაძე” და მოითხოვა შპს “ოხშივარისათვის” საკანალიზაციო ქსელით მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში მომსახურების ღირებულების დაკისრება, გაფხევილიას კუთვნილი აბანოს შესყიდვის აკრძალვა და ამ გარიგების ჩაშლისათვის მიყენებული ზიანის 157,300 ლარის ანაზღაურება (ეს არის შესასყიდი აბანოს იურიდიული, ფინანსური და ტექნიკური აუდიტის მიზნით სს “ჭავჭავაძის” მიერ მესამე პირებისათვის გადახდილი და დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯი) და საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის ზიანის ანაზღაურება. სს “ჭავჭავაძის” პოზიციაა, რომ შპს “ოხშივარს” ტარიფთან დაკავშირებით თუ რაიმე პრეტენზია ჰქონდა თავის დროზე უნდა მიემართა სემეკისათვის შესაბამისი რეგულირებისათვის, და რომ ტარიფის რეგულირება სასამართლოს განსჯადი არ არის.
26. შპს “ოხშივარმა” თავის მხრივ წარადგინა შეგებებული სარჩელი, რომლის საფუძველზეც იგი ითხოვს სს “ჭავჭავაძის” მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვასა და იძულებით კონტრაქტირებას იმ პირობებით რაც მოქმედებდა მხარეებს შორის 2016 წლის 1 აპრილამდე და საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის ზიანის ანაზღაურებას. შპს “ოხშივარი” არ აღიარებს მის წინააღმდეგ შეტანილ სარჩელს და მისი პოზიციაა, რომ სრულიად გაუგონარი და უკანონო მოთხოვნაა მისთვის შეზღუდვის დაწესება შეიძინოს რაიმე აქტივი, მით უმეტეს პასუხი აგოს აუდიტის / შემოწმებისათვის გაწეული ხარჯზე, რასაც ყველა ნორმალური კომპანია ისედაც იხდის იმ პირობებში როდესაც არ არის საბოლოოდ გარკვეული შესაბამისი გარიგება შედგება თუ არა მხარეებს შორის.



დანართი #1

ამონარიდი სს “ჰეჯფანდურსა” და სს “ჰავლს” შორის გაფორმებული გაუმჟღავნებლობის შესახებ ხელშეკრულების ტექსტიდან

“... *ჰეჯფანდური* ვალდებულია კისრულობს და თანხმდება, რომ *ჰავლის* წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, *ჰეჯფანდური* არ გამოიყენებს საკუთარი მიზნისთვის ან სხვა რაიმე მიზნით არ გაუმჟღავნებს ნებისმიერ მესამე პირს *ჰავლის* რაიმე *კონფიდენციალურ ინფორმაციას*, გარდა კანონით მოთხოვნილი შემთხვევისა. ამ *ხელშეკრულებაში* გამოყენებული ტერმინი *„კონფიდენციალური ინფორმაცია“* ნიშნავს ყველა ინფორმაციას, რომელიც არის ან გახდება ცნობილი *ჰეჯფანდურისათვის*, რომელიც უკავშირდება ისეთ საკითხებს, როგორცაა სავაჭრო საიდუმლოებები (მათ შორის, სავაჭრო საიდუმლოებები, ნოუ-ჰაუ, ფორმულები, შემადგენლობები, საწარმოო და წარმოების პროცესები, მეთოდოლოგიები, ტექნიკური მონაცემები, დიზაინი, ნახაზები და სპეციფიკაციები), კვლევითი და განვითარების ქმედებები, გამოგონებები, ახალი ან სამომავლო ბიზნეს მიმართულებები (მათ შორის, ანალიზი და ბაზრის კვლევა, დაკავშირებული *ჰავლის* სამეწარმეო საქმიანობის პოტენციურ გაფართოებასთან), ბიზნეს გეგმები, საბუთები და ჩანაწერები, ფინანსური ან ბიზნეს მონაცემები, მომხმარებლების სია, დაფინანსება, საკრედიტო პოლიტიკა, მიმწოდებლების ჩამონათვალები, მიმწოდებლები, შემსყიდველები, პოტენციური ბიზნეს კომბინაციები, სადისტრიბუციო არხები, სერვისები, პროცედურები, განფასების ინფორმაცია და ნებისმიერი სხვა საკუთრების ინფორმაცია, რომლებიც უკავშირდება *ჰავლს* ან მის ბიზნეს საქმიანობას. ტერმინი *„კონფიდენციალური ინფორმაცია“* არ უნდა მოიცავდეს რაიმე ინფორმაციას ან ინფორმაციის ნაწილს (მათ შორის ინფორმაცია, რომელიც სხვაგვარად წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას), რომელიც არის ან გახდება (A) ზოგადად ხელმისაწვდომი საჯაროდ (გარდა *ჰეჯფანდურის* მხრიდან ან ამ *ხელშეკრულების* დარღვევით გამჟღავნების შემთხვევისა ან იმ პირის მიერ გამჟღავნების შემთხვევისა, რომელმაც ასეთი ინფორმაცია მიიღო *ჰეჯფანდურისგან* რომელიმე ასეთი ხელშეკრულების დარღვევის გზით) ან (B) ხელმისაწვდომია *ჰეჯფანდურისთვის* არაკონფიდენციალური წყაროდან, გარდა *ჰავლისა* და მისი რომელიმე წარმომადგენლისა, და როცა ასეთ წყაროს, *ჰეჯფანდურის* ხელთ არსებული ინფორმაციით და რწმენით არ აქვს აკრძალული *ჰეჯფანდურისთვის* ასეთი ინფორმაციის გამჟღავნება, სახელშეკრულებო, კანონისმიერი ან შენახვის ვალდებულებით. *ჰეჯფანდური* უფლებამოსილია, გაუმჟღავნოს *კონფიდენციალური ინფორმაცია* მის რწმუნებულებს, სპეციალური ცოდნით აღჭურვილ სპეციალისტებს, ფინანსურ და საგადასახადო კონსულტანტებს იმ მოცულობით, რამდენადაც გონივრულად აუცილებელია იმისთვის, რომ მიიღონ კომერციული, ტექნიკური, საგადასახადო, იურიდიული ან ფინანსური რჩევა იმ პირობით, რომ მიმღებისგან მიიღებენ თანხმობას, რომ ისინი არ გაამჟღავნებენ ასეთ *კონფიდენციალურ ინფორმაციას*.”

